

გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ-ავსტრიული უცნობი პრელუდიები

ნაცვალამე მამუკა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია XVIII ს-ის 80-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკური ფონი, რომლის გამოყენებასაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ცდილობდა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ამ დროს აქტუალურია ბერძნული პროექტი, ევროპის გადანაწილების გეგმა, რომელიც ოფიციალურად შემუშავდა სანქტ-პეტერბურგისა და ვენის საიმპერატორო კარზე, რაც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებას. ბერძნული პროექტის თანახმად, ბიზანტიის იმპერია უნდა აღედგინათ რომანოვების დინასტიით სათავეში. ასევე უნდა აღდგენილიყო დაკვიის სამეფო, როგორც ოსმალეთისა და ავსტრიის იმპერიების გამყოფი ბუფერული სახელმწიფო.

რამდენადაც ეს პროექტი ეხებოდა ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ერეკლე II დაინტერესებული გახლდათ ამ გეგმით. ის ცდილობდა მაქსიმალურად ჩართულიყო საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის მეფე, რადგან ბერძნული პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველო იქნებოდა ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში. რომლის შედეგადაც საქართველო სულ სხვა თვისებრივ განზომილებაში აღმოჩნდებოდა, ეს იყო ყველა დროის ქართველ მეფეთა ოცნება.

სწორედ ამ მიზნით აგზავნის ერეკლე ელჩებს ავსტრიაში. ელჩობის ოფიციალური ვერსია იყო ორი პოლკის ევროპული გაწვრთვნისათვის საჭირო ფინანსების მოძიება, რაც მხოლოდ ნიღაბი გახლდათ რეალურად მიზნების შესაფუთად.

ავსტრიის საიმპერატორო კარს, თავის მხრივ, აქვს კონკრეტული გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. ის ცდილობს, ქართველი მეფის სურვილი პრაგმატული მიზნებისთვის გამოიყენოს და რომის საღვთო იმპერიას სხვა მასშტაბები შესძინოს. ამიტომაც ინტერესდება ავსტრია ერეკლეს ქართული წერილებით. უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ წერილების თარგმნის პროცესში მონაწილეობდნენ ავსტრიის იმპერიის მსოფლიო რანგის დიპლომატები კაუნიცი და კობენცლი.

საკვანძო სიტყვები: ბერძნული პროექტი; ჰერაკლე მეორე; იოზეფ მეორე; ქართლისა და კახეთის სამეფო; საღვთო რომის იმპერია; ავსტრიის იმპერია, რუსეთის იმპერია; ეკატერინე II, კაუნიცი, კობენცლი.

შესავალი

1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულმა გეორგიევსკის ტრაქტატმა ახალ ერას დაუდო სათავე საქართველოს ისტორიაში. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს უფრო მეტი საშუალება გაუჩნდა დაპყრობით პოლიტიკა ლეგიტიმურ საბურველში შეეფუთა და ამგვარად შეენიღბა თავისი ექსპანსიური მიზნები, არადა, ტრაქტატი ითვალისწინებდა ერთიანი ქრისტიანული სივრის შექმნას, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საგარეო საფრთხეების თავიდან აცილების დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

სწორედ ამიტომაც გეორგიევსკის ტრაქტატის პრელუდიები, ის წინარე ისტორია, ევროპასთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის მცდელობა, ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილები სულ სხვა შინაარსობლივ და იდეურ დატვირთვას იძენს.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია ავსტრიისა და იტალიის არქივებში დაცულ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებით გეორგიევსკის ტრაქტატის ევროპული პრელუდიების წარმოჩენა, საიდანაც შესაძლებელია იმ განწყობებისა და მიზნების გარკვევა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს გააჩნდა.

კვლევის სიახლე

გეორგიევსკის ტრაქტატის პრელუდიები უშუალოდ უკავშირდება ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, იმ პერიოდისათვის აქტუალურ „ბერძნულ პროექტს“, რომელიც საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში არავის უკვლევია. იმპერიული კონიუნქტურული მიზნებიდან გამომდინარე, რუსულმა და საბჭოური ხანის ისტორიოგრაფიამ ფაქტობრივად გამიჯნა XVIII ს-ის 50-90-იანი წლების მსოფლიო პოლიტიკური პროცესები კავკასიაში მიმდინარე პროცესებისგან, რამაც საფუძველი გამოაცალა აღნიშნული პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ობიექტურ კვლევას.

ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული ვაკუუმის შევსება და მეცნიერული კვლევის შედეგები გამოვაქვეყნეთ ქართულ [ნაცვალაძე 2020ა ; ნაცვალაძე 2020ბ] და უცხოურ [Natsvaladze 2020a; Natsvaladze 2020b; Natsvaladze 2020c; Natsvaladze 2020d; Natsvaladze 2020e; Natsvaladze 2021a; Natsvaladze 2021b] სამეცნიერო ჟურნალებში. წინამდებარე თემა ამ მასშტაბური კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, უცნობი სეგმენტია.

კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები

ჩვენს საკვლევი თემა ხასიათდება მრავალწახნაგოვანი ფორმებით, შესაბამისად საკითხის სრულყოფილი ანალიზი ითხოვს საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი.

კვლევისას ვიყენებთ ისტორიზმის, ობიექტურობის, რეკონსტრუქციის, ალტერნატივობის, დეტერმინიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომელიც თავიანთ თეორიულ კვლევებში შეიმუშავეს რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა, რეინჰარდ კოსელეკმა; აბრამს ლინმა; ბრუნდაჯ ენტონმა, გრეგორი იანმა და ელ პაულმა; ედუარდ

ფრიმანმა; ჰიუზ-ვორინგტონმა, იგერს ჯორჯმა და ედუარდ ვანგმა; აკირა ირიემ; ქელდელის ენტონმა; ლუკას ჯონმა; მუნრო დუგმა და რეიდ ჯონმა, ქუიგლი კეროლმა, რაფლობ კურტიმ, შარლ ვიქტორ ლანგლუამ და შარლ სენიობოსმა, მარკ ბლოკმა; პიტერ ლამბერტიმ და ფილიპ სკოფილდმა.

წერილობითი წყაროების მიმოხილვა

ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ ვენის, ვატიკანის, ვენეციის, რომის არქივებში დაცული ცნობები, ცალსახად მიანიშნებს, რომ ქართლ-კახეთის მეფე სერიოზულად განიხილავდა ევროპული დიპლომატიის შესაძლებლობებს და ცდილობდა ეს სეგმენტი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოეყენებინა. შესაბამისად, ამ მოტივით ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, 1781-82 წლებში, გზავნის ორ ელჩობას ევროპაში.

ევროპას მიმართავს ერეკლე კიდევ ერთხელ, 1795 წლის გვიან შემოდგომაზე, ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ, როცა ავსტრიის იმპერატორთან აგზავნის კიდევ ერთ ელჩობას, რაც ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი ფაქტია. ეს სიახლე დეტალურად გავაშუქეთ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში გამოქვეყნებულ სტატიებში [Natsvaladze 2020c; ნაცვალაძე 2020ბ].

რუსული დიპლომატიის ხრიკების შედეგად ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილი პირველი ორი ელჩი ვერ ჩადის დანიშნულების ადგილას. ორივე მათგანი დომენიკე და მაურო ვერონელი, გაურკვეველ ვითარებაში კვდებიან. მიუხედავად ამისა, ერეკლეს გაგზავნილი წერილები მაინც აღწევს ავსტრიის საიმპერატორო კანცელარიამდე, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან.

აღნიშნული კორესპონდენციების მცირე ნაწილი (სულ ორი წერილი) გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა, [თამარაშვილი 1902:402-404]. შემდგომ ვატიკანის, ვენის ვენეციის არქივებში იმუშავა ილია ტაბალუა [ტაბალუა 2000], მან 1979 წელს ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის შესახებ დაბეჭდა გამოკვლევა, რომელსაც თან ერთვის ქართველი მეფის წერილები და მასთან დაკავშირებული სხვა ეპისტოლარული მასალა [ტაბალუა 1979].

ვატიკანში პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, რომში კაპუცინელთა გენერალურ არქივსა და თეატინელთა არქივში დაცული ქართული მასალების გამოყენებით აქტუალური სტატიები გამოაქვეყნა ნინო დობორჯგინიძემ. [დობორჯგინიძე 2019:197-211]

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული პირველწყაროების საფუძველზე ობიექტურად შევაფასოთ ერეკლეს ევროპაში გაგზავნილი ელჩობა, პირველ რიგში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება უნდა გავაანალიზოთ და გავარკვიოთ რა კავშირი აქვს ერეკლეს პოლიტიკურ მიზნებს იმდროინდელი ევროპის საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებთან.

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ერეკლეს ევროპაში გაგზავნილი წერილების იტალიური თარგმანები, ასევე ამ თარგმანებთან დაკავშირებული ვენის საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელეების კორესპონდენციები. აღნიშნული საარქივო მასალების კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, დავადგინეთ ის თემატიკა, რომელიც ამ ფასდაუდებელ საარქივო მასალებიდან იკვეთება და რიგ

შემთხვევაში საჭიროებისამებრ მეორდება.

ერეკლეს ჩვენს ხელთ არსებული წერილებისა და ამ წერილებთან დაკავშირებული კორესპონდენციებიდან ცალსახად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ:

1. 1781-82 წლებში რაღაც სასწრაფო და გადაუდებელი ხდება ევროპაში;

ამ გარემოებას ადასტურებს შემდეგი მტკიცებულებები:

ა) პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის ქართული მასალების მესამე ტომის 44-ე ფურცელი ინახავს საინტერესო ინფორმაციას. კაპუცინელი მაურო ვერონელი 1781 წლის 14 მარტის წერილზე 16 მარტს აკეთებს შემდეგ ჩანართს: „დღეს დილით, 16 მარტს, მეფე ერეკლემ მიბრძანა, ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ პადრე დომენიკო, ამ წერილის მომტანი, ვენაში გაამგზავროთ რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები ახარია.“ [დობორჯგინიძე 2019:184]

ბ) საგულისხმო და უმნიშვნელოვანესი დეტალია ის, რომ კაპუცინელ ელჩს მაურო ვერონელს 1782 წელ ევროპაში არ მიაქვს ნათარგმნი წერილები. არადა, ერეკლეს წერილების თარგმნას სულ მცირე დრო, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე სჭირდება. როგორც ჩანს, ეს რამდენიმე დღეც კი მნიშვნელოვანია ერეკლესათვის, შესაბამისად ერეკლე არჩევანის წინაშეა - ან ცოტა ხანი დააყოვნოს ელჩი და მომზადებული ნათარგმნი წერილებით გაუშვას, ანდა, ქართულად დაწერილი წერილები გაატანოს იმ იმედით, რომ ევროპაში ვინმე თარგმნიდა. ერეკლე არჩევანს ელჩის დაუყოვნებლივ გამგზავრებაზე აკეთებდა.

2. ეს სასწრაფო საქმე არ არის საქვეყნოდ გაცხადებული და მკაცრად გასაიდუმლოებულია;

აღნიშნული ფაქტს ადასტურებს რამდენიმე საარქივო დოკუმენტი:

ა) მაურო ვერონელისადმი ერეკლეს იტალიურ ენაზე თარგმნილი საინსტრუქციო წერილი. აი, რა დავალებას აძლევს ერეკლე ევროპაში გაგზავნილ ელჩს: „...თუ თქვენი თხოვნა არ შეუსრულებია ხსენებულ იმპერატორს და არც სხვა მეფეს, ეს საიდუმლოა და არავინ არ უნდა გაიგოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოცხადება დიდად საზიანო იქნება.“ [ტაბალუა 1979:90]

ბ) ერეკლე მეორის წერილი იოზეფ მეორესადმი. აი, რას წერს ერეკლე: „ეს იყო დაბარებულობა მისი, რომელიც მოგეხსენებათ ამ მოხსენებაში: რადგან წარსულს წელიწადებში ამ ჩვენის მხრის აზრის ქვეყნებში ამბავი მოდიოდა, რომ თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულებას თურქეთის სულთანზე საფარი აქვსო, ამ სასიხარულო ამბავმა ჩემს გონებასა შინა მყოფი ერთგულება განაღვიძა და სიხარულად აღძრა. და ის პატრი ამისთვის გამოგზავნეთ, რომ ეგება თქვენის უმაღლესობის საკადრის სამსახურს ველირსნეთ“ [ტაბალუა 1979:100].

უმნიშვნელოვანესია იმის განმარტება, რას უნდა ნიშნავდეს „საფარი“. ჩვენი აზრით, საფარი - საიდუმლოს, დაფარულ აზრს, ნიშნავს. ეს კონტექსტიდანაც ნათლად ჩანს - ერეკლე აღფრთოვანებული ყოფილა იმით, რომ იოზეფ მეორეს რაღაც დაფარული აზრი ჰქონია ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში.

3. ეს გადაუდებელი და საიდუმლო საქმე უშუალოდ უკავშირდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას;

მას შემდეგ რაც 1781 წელს გაურკვეველ ვითარებაში კონსტანტინოპოლში კვდება

ერეკლეს გაგზავნილი ელჩი დომენიკო, ერეკლე კიდევ ერთ ელჩობას გზავნის უმოკლეს დროში, რომელსაც ზუსტად ის მიზანი აქვს, რაც პირველ ელჩობას.

აი, რას წერს ამის შესახებ ერეკლე იოზეფ მეორეს: „ამ წერილზე ბევრად ადრე, გასულ წელს, გამოვგზავნე თბილისში მყოფი პატრი დომინიკო. თქვენი უმაღლესობისათვის მას გამოვატანე ჩემი თხოვნა, რაც წერილში არ იყო ნახსენები. სიტყვიერად დავაბარეთ, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებდით მას. მაგრამ პატრი დომენიკო გზაში გარდაიცვალა. ჩვენი მაშინდელი დავალება ახლინდელის შესაბამისია.“ [ტაბალუა 1979:104]

4. ამ საიდუმლო და ამასთანავე სასწრაფო საქმეში საკმაოდ მაღალი დოზით მონაწილეობს ავსტრიის იმპერატორი იოზეფ მეორე.

აღნიშნულ ვერსიას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ერეკლეს წერილების მთავარი ადრესატი ავსტრიის იმპერატორია. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს წერილები ქართულ ენაზეა, ავსტრიის სამეფო კარი ჩვეულებრივზე უფრო მეტი სერიოზულობით უდგება წერილების თარგმნის საქმეს, რაც თითქმის წელიწადნახევარი გაგრძელდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ წერილების თარგმნის ორგანიზებით დაკავებულია ავსტრიის იმპერიის მოხელე, მსოფლიო რანგის დიპლომატი ვენცელ კაუნცი, [ტაბალუა 1979:113-175] რომლის სახელს უკავშირდება XVIII ს-ის 50-60-იანი წლების დიპლომატიური რევოლუცია - დიდი ხნის ტრადიციული მტრების ავსტრიისა და საფრანგეთის დაახლოვება.

5. ამ საიდუმლო და საჩქარო საქმეში საქართველოს მონაწილეობას ხელს უშლის სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი

კარდინალი ჰრზანის ვენცელ კაუნცისადმი გაგზავნილ პატარა წერილში, რომელიც შეიცავს ერეკლეს მოთხოვნის მოკლე შინაარსს, არის ორი უმნიშვნელოვანესი პლასტი.

აი რას წერს კარდინალი ჰრზანი: „ვიმედოვნებ რომ ამ ნაბიჯს რუსეთის სამეფო კარი სწორად გაიგებს. ის კი ცხადია, რომ პრინც ერეკლეს თხოვნა ამ მეტად ძვირფასი საჩუქრის შესახებ უნდა შესრულდეს“ [ტაბალუა 1979:118].

ამ ტექსტიდან პირველი უმნიშვნელოვანესი გზავნილია - ავსტრიის საიმპერატორო კარი არ არის დარწმუნებული, რომ რუსეთი მოიწონებს მისი მხრიდან საქართველოს დახმარების სურვილს. და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ერთი მხრივ, საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ავსტრიასთან, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ერთმორწმუნეობას ეფიცება [Грамоты 1898:4-28].

ამ ტექსტის მეორე გზავნილი საკმაოდ რადიკალურია - კარდინალ ჰრზანს მიაჩნია, რომ ერეკლეს თხოვნა - ორი ბატალიონის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნისა და მისი შენახვისათვის საჭირო თანხის გაღება უნდა შესრულდეს.

ამ პატარა ჩანაწერიდან ცხადია მესამე გზავნილიც - ვენის საიმპერატორო კარი კარგად ხედავს საკუთარი პრიზმიდან, რომ აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება თავად მათ ინტერესშია. ამიტომაც არის კატეგორიული და ცალსახა კარდინალ ჰრზანის პოზიცია, „რომ პრინც ერეკლეს თხოვნა ამ მეტად ძვირფასი საჩუქრის შესახებ უნდა შესრულდეს“ [ტაბალუა 1979:118].

6. აღნიშნული საჩქარო და საიდუმლო საქმე უშუალოდ უკავშირდება რუსეთის იმპერიას.

კარდინალი ჰრზანი სრულად ჩამოთვლის მის ხელთ არსებულ წერილებს, რომელიც ერეკლეს გაუზავნია ევროპაში: „მისი უწმინდესობისადმი, ნეაპოლისა და სარდინიის მეფეებისადმი, ვენეციისადმი მიწერილი წერილები თარგმანითურთ გზავნია. შემდეგ მოსდევთ წერილების ასლი და თარგმანი, რომელიც როგორცა სჩანს, რუსეთის დედოფლისადმი არის მიმართული. ეს წერილი გამოირჩევა სხვა წერილებისგან იმით, რომ ხელმოუწერელია, არც დასაწყისში აქვს რაიმე სათაური.“ [ტაბალუა 1979:119]

ბუნებრივია, კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთის დედოფლისადმი მიწერილი წერილი ერეკლეს შემთხვევით მაურო ვერონელისთვის გაეტანებინა ავსტრიის იმპერატორთან. საგანგებოდაა ხაზგასასმელი, რომ ამ წერილს არ აქვს არც თარიღი და არც ის ჩანს, ვინაა მისი ადრესატი.

ვფიქრობთ, ეს გახლავთ ერთგვარი გზავნილი იოზეფ მეორისადმი, რომელსაც ერეკლე მიანიშნებს, რომ ავსტრია-საქართველოს ურთიერთობა მისი რუსეთისადმი ოფიციალურად დადასტურებული სიმპათიიდან გამომდინარე, ვერ შეიტანდა დისონანსს ავსტრია-რუსეთის კეთილგანწყობილ ურთიერთობებში.

7. საქმე გვაქვს ისეთ გასაიდუმლოებულ საჩქარო საქმესთან, რომელშიც იკვეთება ავსტრიის, რუსეთისა და საქართველოს ინტერესები.

უფროსი პატრი ანდრეასი მარკო ვერონელისთვის მიცემულ სარეკომენდაციო წერილში წერს: „ამ წერილის წარმომდგენი პატივცემული პატრი მაურო, რომელიც ვერონაში მოქადაგე მინორიტების წესის სამოციქულო მისიონერი და წმინდა ფრანცისკელი კაპუჩინია, ევროპის სამართლიანმა ადამიანებმა (დიპლომატიურ საქმეზე) რუსეთში გაგზავნეს, რათა მათ წინადადების წარმატებისთვის იშუამდგომლოს.“ [ტაბალუა 1979:88]

უფროსი პატრი ანდრეასი მაურო ვერონელს რუსეთში გაგზავნილად მოიხსენიებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ ვენაში წავა, მაუროს დავალებული ჰქნდა რუსეთში გაეგლო გარკვეული კონსულტაციები.

8. ერეკლეს წერილებში ნახსენები გარდა ორი პოლკის დაფინანსებისა, ქართლ-კახეთის მეფეს უფრო მნიშვნელოვანი, დაფარული, საიდუმლო თხოვნა აქვს ავსტრიის იმპერატორისადმი.

ერეკლე იოზეფ მეორეს წერს: „პატრი მაუროსადმი სიტყვიერად დანაბარები თქვენ ზედმიწევნით დაგარწმუნებთ, თქვენო უმაღლესობავ, რასაც ის მოგახსენებთ, მას ყველაფერში ერწმუნეთ.“ [ტაბალუა 1979:104]

კვლევის შედეგები

ზემოაღნიშნული ფაქტების ერთობლივი შეფასებითა და ანალიზით უნდა გაირკვეს, ერეკლეს ევროპასთან დაკავშირების მცდელობა იდეალისტური ნაბიჯი იყო, თუ წინასწარ, ზუსტად გათვლილი პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ჩვენ სიღრმისეულად შევისწავლეთ XVIII ს-ის 50-80-იანი წლებისას მიმდინარე საერთაშორისო პროცესები, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ევროპასა და

მსოფლიოში. ამ პროცესებისა და მსოფლიო ისტორიული ფონის ანალიზისას ცალსახაა, რომ ზემოთ მინიშნებული რვა კომპონენტი ერთობლივად ნათლად იკვეთება ევროპის გადანაწილების იმ გეგმაში, რომელიც ბერძნული პროექტის სახელითაა ცნობილი და რაც ოსმალეთის იმპერიის დანაწილებას ითვალისწინებს.

ეს გეგმა, რომელიც საკმაოდ დიდი ხანი არსებობდა სხვადასხვა ფორმით, კონცეფტუალური სახით ჩამოყალიბდა 1780 წელს მოგილიოვში ეკატერინა მეორისა და იოზეფ მეორის საიდუმლო შეხვედრისას. [Ивонин 2007:31-43] (საგულისხმოა რომ იოზეფი რუსეთში ინკოგნიტოდ ჩამოდის და გრაფ ფინკენშტენის სახელით მოგზაურობს რუსეთში) საბოლოო სახე კი მიიღო ეკატერინას წერილში, რომელიც იოზეფ მეორეს უგზავნის 1781 წლის 20 სექტემბერს. [Русский архив 1880: 281-291; Arneht 1869:143-157]

საიდუმლო ვიზიტისას გადაწყდა ევროპის გადანაწილება ოსმალეთის იმპერიის დანაწილების ხარჯზე. უნდა აღსდგეს ბიზანტიის იმპერია, რომლის ტახტსაც დაიკავეს ეკატერინა მეორის შვილიშვილი კონსტანტინე, რომელიც იმეფებს რუსეთის რომანოვთა დინასტიისაგან დამოუკიდებლად, ასევე უნდა შეიქმნას ბუფერული სახელმწიფო დაკია, რომელიც გააერთიანებს მოლდავეთს ვალახეთსა და ბესარაბიას. ეს იქნება ერთგვარად დამცავი სივრცე, რომელიც მაჰმადიანური გარემოცვისგან გამიჯნავს ავსტრიის იმპერიას. [Русская старина 1892:1-4; Зорин 2001:35-37; Гриффитс 2013:352-360; Маркова 1986:5-11]

გამომდინარე იქიდან, რომ ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად პრეტენზიას აცხადებს დასავლეთ საქართველოზე და ამასთანავე ინსპირატორია დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მთიელთა მუდმივ შემოსევებისა, რაც ფაქტობრივად ანგრევს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობას, ერეკლე უშუალოდაა დაინტერესებული ყველა იმ საერთაშორისო პოლიტიკური პროცესით, რომლის მიზანია ოსმალეთის დასუსტება.

სწორედ ამ ფონზე უნდა გავიაზროთ ფრაზა იოზეფ მეორისათვის განკუთვნილი ერეკლეს წერილიდან: „თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულესობას თურქეთის სულთანზე საფარი აქვს“ [ტაბალუა 1979:100] საკითხავია, რამდენად შეიძლება ვიგულისხმოთ პორტასთან ომი ამ დაფარულ აზრში? ვფიქრობ ეს ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ, რამდენადაც ის პოლიტიკური ურთიერთობები და ურთიერთქიშპი, რაც ტრადიციულად ავსტრიის იმპერიას უწევს თურქეთთან, რომელიც უმერტესად ამ დაპირისპირების ინიციატორია, ვერ გამოდგება დაფარული აზრის გამომხატველ ცნებად.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ „დაფარულ აზრში“ ისეთი მოვლენა უნდა იგულისხმებოდეს, რაც ავსტრიის, თურქეთისა და საქართველოს ინტერესებს კვეთდეს. ამგვარი ინტერესთა თანხვედრა ვფიქრობთ, ბერძნული პროექტია. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩობის მთავარი მიზანი ცალსახად ბერძნული პროექტთან არის დაკავშირებული.

უმნიშვნელოვანესი ფაქტია: ორი იმპერატორი შეთანხმდა, რომ ეს პროექტი საიდუმლოდ დარჩენილიყო ოსმალეთის მხრიდან პოლიტიკური პროცესების გართულების თავიდან აცილების გამო [Зорин 2001:38-45] თუმცა, საგულისხმოა, რომ

ამ ინიციატივამ მაინც გაჟონა. საქმე ისაა, რომ სწორედ ბერძნული პროექტის იდეოლოგიაზე გადაეწყო ეკატერინას დროინდელი მთელი რუსეთი. ეს კარგად გამოჩნდა რუსეთის იმპერიის იმდროინდელ არქიტექტურაშიც, ლიტერატურაშიც, სამეფო ნიშნებზეც, საზოგადოებრივი აზრიც ამ იდეითაა განმსჭვალული [Зорин 2001:58-88] შესაბამისად არავისთვის არ იყო დასამალი, რომ რუსების კონსტანტინოპოლში შესვლის მანამდე არსებულმა ისედაც პოპულარულმა თემამ XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო მეტი პოპულარობა შეიძინა.

მიუხედავად ამისა, ერეკლე იცავს ინსპირირების წესს მარტივი მიზეზის გამო - იოზეფ მეორე და ეკატერინა მეორე თვლიან, რომ ევროპის მათ მიერ შეთანხმებული გადანაწილების გეგმა საიდუმლო უნდა იყოს და არ გამჟღავნდეს. საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებში ჩართვის სერიოზული განაცხადი, ბუნებრივია, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით უნდა მოხდეს, ამიტომაც ერეკლე მეორე ბოლომდე ერთგული რჩება იმ წესების, რომელიც ორი დიდი იმპერიის ხელისუფალმა დაადგინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ის საიდუმლო საქმე, რომლის გამოც ერეკლემ გადაწყვიტა ორჯერ გაეგზავნა ელჩი ევროპაში, შეიძლება მხოლოდ იოზეფ მეორისა და ეკატერინა მეორის მიერ შედგენილი ბერძნული პროექტი ყოფილიყო, რაც ევროპის გადანაწილებას ითვალისწინებდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალების გზით.

თუმცა, აქ არის კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო და უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელიც ამ ამოცანის იმ სეგმენტს ხსნის, თუ რატომ ჩქარობს ერეკლე. ერეკლეს წერილების ანალიზისას ამ კომპონენტს ისტორიოგრაფიაში ჩვენამდე არავინ შეხებია. არადა, ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გარემოების გარკვევით გახლავთ შესაძლებელი დავაზუსტოთ რა არის ერეკლეს ელჩობის მთავარი მოტივაცია.

კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს კითხვას - რას ესწრაფვის ერეკლე, რატომ თვლის საჭიროდ სასწრაფოდ ელჩობის მივლინებას ვენაში. თანაც ისე საჩქაროდ, რომ წერილების თარგმანს უფრო ნაკლებადმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს, ვიდრე ვენაში ელჩის დროზე ჩასვლას.

აღნიშნული პერიოდის ნარატიული წყაროებისა და დოკუმენტების შესწავლისას ჩვენ მივაქციეთ ყურადღება საკმაოდ საინტერესო ფაქტს - XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისის ავსტრიისა და რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა უფლისწული პავლეს მოგზაურობა ავსტრიაში მეუღლესთან ერთად 1781-82 წლებში [Хаванова 2016:97; РИО 1872:70-97].

პავლე მომავალი იმპერატორია, მიუხედავად იმისა, რომ მას დედამისთან ეკატერინესთან არა აქვს თბილი ურთიერთობა, ეს ის დროა, როცა მათ შორის დამაბულობას კულმინაციისათვის ჯერ არ მიუღწევია. ის გრანდიოზული ბერძნული პროექტი, რომელიც ეკატერინას შვილიშვილების, პავლესა და მარიამის შვილების მომავალს წყვეტს - ალექსანდრე რუსეთის იმპერატორად რჩება, კონსტანტინე კი ბიზანტიის იმპერიის დინასტიას დაუდებს საფუძველს, ბუნებრივია, პავლეს ინტერესთა სფეროში ექცევა აქტიურად. შესაბამისად, ის უფლებამოსილია ამ საკითხთან დაკავშირებით კულუარულ მოლაპარაკებებში მიიღოს მონაწილეობა.

ერეკლესათვის შესანიშნავი შანსია წარგზავნოს ელჩი, რომელსაც ექნება საშუალება შეხვედეს არა მარტო ავსტრიის იმპერატორს იოზეფ მეორეს, არამედ ავსტრიაში მყოფ რუსეთის ტახტის მემკვიდრე პავლე მოინახულოს. შესაბამისად ავსტრიის საიმპერატორო კარის დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სრულიად რეალურია იოზეფ მეორეს მოენდომებინა სამმხრივი შეხვედრა, რომელიც სამივე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებს გადაწყვეტდა.

ვფიქრობთ, მთავარი სათქმელი, რაც ერეკლეს სურდა გადაეცა იოზეფ მეორესათვის, ეწერა არა წერილებში, არამედ ელჩებს ჰქონდათ ზეპირად დავალებული. ამ საყოველთაო დიპლომატიურ პრაქტიკას იყენებს ქართლ-კახეთის მეფე. სწორედ ამაზე მიანიშნებს მიხეილ თამარაშვილი: „პოლონელ კაპუცინს წაუღიათ ყველა მისი (მაურო ვერონელის მ.წ.) ქაღალდები ვენას პაპის ნუნციასთან და უთქვამთ მისთვის, რომ მიცვალებულ პატრი მავროს საქართველოს მეფისაგან ბევრი რამ ჰქონია პირადად დაბარებული.“ [თამარაშვილი 1902:402]

დოკუმენტებისა და პირველწყაროთა ერთობლივი ანალიზით, აღნიშნული ფრაგმენტი კიდევ ერთი დასტურია, რომ ერეკლეს ევროპული ელჩობის მთავარი თემა სწორედ „ბერძნული პროექტი“ და ამ პროექტში საქართველოს მონაწილეობის საკითხია.

ვფიქრობთ, უფროსი პატრის ანდრეასი დეტალურადაა საქმის კურსში, თუ რა მიზანს ისახავს ერეკლეს ელჩობა და კარგად იცის ასევე ზეპირად დანაბარების არსი. ჩვენი აზრით, სწორედ ამის კვალი უნდა იყოს ავსტრიის იმპერატორისათვის მიწერილ წერილში.

„ასეთი რამ (ნაგულისხმები უნდა იყოს ერეკლეს ჩართვა ბერძნულ პროექტში - მ.წ.) სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციის გზით აშკარად უნდა გავაკეთოთ, რათა თქვენი და ღვთის დიდების წინაშე, აგრეთვე ამ მისიონის სარგებლობისათვის, არასოდეს უბედურთა და დევნილთა შიშით ცახცახი არ გამოიწვიოთ. რადგან შენი ხელისუფლების ძლიერება იმდენად განთქმულია ბარბაროს ხალხში, რომ თქვენი მბრძანებლობის (სახელმწიფოს) ნებასურვილი, ასევე სიფრთხილე ურწმუნოთა და მწვალებელთა წინაშე, პატივისცემას და ასევე მფარველობას იწვევს.“ [ტაბალუა 1979:86]

ფაქტია, რომ ვენის საიმპერატორო კარის მხრიდან ერეკლეს კორესპონდენციებისადმი დამოკიდებულების მაღალ ხარისხს თუ განვიხილავთ, აშკარაა, რომ ავსტრიის იმპერატორთან ერეკლეს ელჩის შეხვედრას არაფერი უდგა წინ. რაც შეეხება უფლისწულ პავლეს, ვფიქრობთ, დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ის არ იქნებოდა წინააღმდეგი სამმხრივ შეხვედრას დათანხმებოდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: უფროსი პატრის ანდრეასის წერილში იმპერატორისადმი საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ვერონელის ზეპირი თხოვნა ეხება ისეთ საკითხს, რომელიც შესაძლოა მომავალში არ განმეორდეს: „წინასწარ არ ვიცით სულიერი სარგებლობის რამდენი არა მცირე შემთხვევა ექნება მომავალში ამ მხარეებს. ამის გამო თქვენს უდიდებულესობას მუდარებითა ვთხოვთ, რათა თქვენი ლმობიერი შებრალებით ხსენებულ პატრ მავროს ნამდვილად ამ უმაღლესი მეფეების კარზე გაგზავნილს, მეორეხარისხოვანმა მეფეებმა აუდენცია გაუმართონ. იმედია რომ

უთუოდ შეასრულებენ თხოვნას.“ [ტაბაღუა 1979:86]

ჩვენი ვარაუდით, იმ მეორეხარისხოვან მეფეთა რიგში, რუსეთის ტახტის მემკვიდრე პავლეც უნდა იყოს ნაგულისხმები. სწორედ ამიტომ ცდილობს ერეკლე გამოიყენოს უნიკალური შანსი სამმხრივი შეხვედრისა და მოლაპარაკებისა, რომლის ორგანიზების ალბათობა სხვა დროს საკმაოდ მიზერული გახლდათ. ავსტრიის იმპერატორთან ერთად რუს უფლისწულთან მოლაპარაკება არის სწორედ ის მიზანი, რასაც ერეკლე ესწრაფვოდა. ის ჩქარობს იმიტომ რომ პავლესთვის ჩაესწრო მის ელჩს ვენაში და გამოეყენებინა ეს უიშვიათესი შანსი. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სამივე ქვეყნის მეტ-ნაკლებად იდენტური პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი ფორმატის შეხვედრა საკმაოდ რეალური გახლდათ.

ამ დასკვნიდან გამომდინარე, კვლევა კიდევ ერთი მიმართულებითაა საჭირო. კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს კითხვას - რისი მიღწევა სურდა ერეკლეს ამ ელჩობიდან? რა შედეგი უნდა ჩათვლილიყო ოპტიმალურად სამმხრივი შეხვედრის ორგანიზების შემთხვევაში?

ინგლისელი მკვლევარი დონალდ რეიფილდი კონკრეტულად მიანიშნებს თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა კავკასიას ბერძნული პროექტის განმტკიცების თვალსაზრისით. „რუსეთსა და ავსტრიას, - წერს ინგლისელი მეცნიერი, - უკვე შეთანხმებული ჰქონდათ ე.წ. „ბერძნული პროექტი“, რომლის ფარგლებშიც თურქების ევროპიდან განდევნა იგეგმებოდა: სამხრეთ კავკასიის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანით, ეკატერინე ამ პროექტს „გაამყარებდა“. [რეიფილდი 2019:357]

ერეკლე კარგად ხედავს დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს პერსონა საკმაოდ პოპულარულია ევროპაში, ბებერი კონტინენტი ამასიის ზავის სტერეოტიპებით აზროვნებს. მისთვის კავკასია სრულიადაც არაა სახელმწიფოთა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთობლიობა, კავკასია მათთვის ის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი კონგლომერატია, რომელიც ნებისმიერი იმპერიისათვის სანატრელ გარემოს ქმნის მომავალი დაპყრობის თვალსაზრისით.

ეს ის იმპერიული დოქტრინაა, რასაც თანმიმდევრულად მისდევენ მსოფლიო იმპერიები. კავკასია, მითუმეტეს ერთიანი, ყველა დიდი იმპერიის თავსატეხია, ამდენად, მოყოლებული ქრისტეშობამდე XII საუკუნიდან ერეკლეს ეპოქამდე ყველა დიდმა იმპერიამ საკუთარი აგური დადო კავკასიური კოზირის განეიტრალებისათვის. შესაბამისად, XVIII ს-ის 70-80-იანი წლებისას მრავალკონფესიური, პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებული კავკასია იდეალურად სასურველი ვარიანტია დიდი სახელმწიფოებისათვის. ეს პოლიტიკური თუ კონფესიური მრავალფეროვნება არცთუ უსაფუძვლოდ ქმნის იმის ილუზიას, რომ ნებისმიერი დიდი სახელმწიფო შესძლებს კავკასიაში არსებული არეულობის, მრავალმხრივი სარწმუნოებრივი თუ პოლიტიკური კონგლომერატის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ეს უკვე გათიშე და იბატონეს იმპერიული ვერსიის პოსტთეორიული ეტაპია.

შესაბამისად, დიდი სახელმწიფოები, მათ შორის ავსტრია და რუსეთი, კონკრეტული არჩევანის წინაშე დგანან:

1. მათ ან უნდა აღიარონ კავკასიაში არსებული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობა და გამოიყენონ რაციონალურად კავკასიელთა კეთილგანწყობა ბერძნული პროექტის აღსრულების საქმეში, რაც საკმაოდ მტკიცე საფუძველს შეუქმნის ევროპის გადანაწილების მათთვის სასურველ ავარიანტს, ანდა

2. არ უნდა შეეღიონ იმპერიულ ამბიციებს და კავკასიაში არსებული პოლიტიკური კონგლომერატი, კონფესიური მრავალფეროვნება გამოიყენონ საკუთარი ტერიტორიის გაფართოებისა და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონის ხელში ჩასაგდებად.

რუსეთი არჩევანს კავკასიასთან ურთიერთობის პირველ მოდელზე აკეთებს, ავსტრია - მეორეზე.

სწორედ ამ არჩევანის ფორმატში სურს ერეკლეს შეახსენოს თავი ევროპას. დაუმტკიცოს, რომ მეორე გზა, კავკასიის მოკავშირეობა უფრო მომგებიანია ბერძნული პროექტის განხორციელებისთვის, ვიდრე რუსეთის მხრიდან ინტრიგათა ხლართვა და ამ გზით პოზიციების განმტკიცება.

ერეკლე საკმაოდ პოპულარულია ევროპაში, მას ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლად იცნობენ. ევროპას მისი ეიმედება და ერთი მეფის კვალობაზე საკმაოდ დიდ ავტორიტეტსაც იხვეჭს დიდ სახელმწიფოთა შორის, თუმცა, ეს მისი პიროვნული წარმოჩენა სრულიადაც არ აისახება ქართლ-კახეთის სამეფოს პოპულარობასა და აღიარებაზე ადექვატურად. საქართველო არ მოიზრება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტად, ერეკლე ერთი მხრივ, როგორც პერსონა და მეორე მხრივ, მის მიერ მართული სახელმწიფო ამკარად განცალკევებულია ევროპულ ცნობიერებაში.

დასკვნა

„ბერძნულ პროექტად“ წოდებული ევროპის გადანაწილების ახალი საიდუმლო გეგმა გახლავთ ის მიზეზი, რომელიც უბიძგებს ერეკლეს ინტენსიური ურთიერთობა დაამყაროს ავსტრიის იმპერატორთან, რომელიც, ამავდროულად, საღვთო რომის იმპერატორიცაა, რაც არ გახლავთ ჩვეულებრივი სტატუსი. ეს მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საკითხის მასშტაბურად გადაწყვეტისას [Natsvaladze 2020 a:18-22; Natsvaladze 2020 b:28-41].

ვფიქრობთ, სწორედ ამ კონტექსტში იბადება ქრისტიანული სამყაროს თავდაცვის პრევენციის ახალი სისტემური მოდელი, რაც რომის იმპერიის საზღვრების აღდგენას გულისხმობს. ამ რეალობაში საკმაოდ წონადია როგორც ავსტრიის იმპერატორის, ამავდროულად, საღვთო რომის იმპერატორის, ასევე რუსეთისა და საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური სამყაროს უმნიშვნელოვანესი სეგმენტის როლი, რომელიც თვისებრივად, როგორც სულ სხვა ევროპას, ისე სულ სხვა საქართველოს დაუდებს საფუძველს.

ამრიგად, ერეკლე მეორის ელჩობები ორგანულად დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ევროპულ პოლიტიკურ პროცესებთან, რაც ცალსახად აძლევს შესაძლებლობას საქართველოს, თავი დააღწიოს ამასიის ზავის მოდელს და საერთაშორისო სისტემის სუბიექტად დამკვიდრდეს იმ პერიოდის საერთაშორისო

თანამეგობრობაში, სადაც თავად რუსეთი საკმაოდ გავლენიანი მასშტაბებითაა მოაზრებული.

რუსეთის იმპერიულმა კონცეპტმა, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისიდან არ აღიარებდა კავკასიაში არსებული სამეფო სამთავროების დამოუკიდებლობას (ჯერ ჯიდევ პეტრე პირველი მოიხსენიებდა საკუთარ თავს „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფედ“ [Юзефович 1869:25; გურული 2012:7-8]; ცალსახად უტოპიად აქცია ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი, რითაც ხელი შეუშალა არა მარტო საქართველოს, არამედ თავად რუსეთის სახელმწიფოს განვითარებისა და თვისებრივად სხვა განზომილებაში ცივილიზებულ გარდასახვას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- გურული ვ. (2012), საქართველო და გარესამყარო. თბ. 2012, 139 გვ
- დობორჯგინიძე ნ. (2019), ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019. გვ 166-218
- თამარაშვილი მ., (1902) ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, ავტორის მიერ გამოცემული, 1902 844 გვ.
- ნაცვალაძე მ. (2020), სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე, 2020 წლის 27-29 ნოემბერი თბილისი თელავი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენცია, ნაწილი 1, თბილისი თელავი 2020, გვ 172-183
- ნაცვალაძე მ. (2020), ზ 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები, 15th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია October 09-10, 2020 Tbilisi, Georgia, გვ. 234-244
- რეიფილდი დ. (2019), საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი. თბილისი, პალიტრა L, 2019. 676 გვ.
- ტაბალუა 2000 - ტაბალუა, ი., ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. საქ. ევროპისა და ამერიკის სამეცნ.-კვლევ. ინ-ტი., თბ., 2000. 48გვ
- ტაბალუა ი., (1979), საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი 1979 183 გვ
- Arneth 1869 - Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneth, Wien, 1869 s 446
- Natsvaladze 2020 a - Natsvaladze M. Georgia and the Secret Project for Redistribution Europe 70-80s of the 18th century, LXXVI International Scientific Review of the Problems and Prospects of Modern Science and Education, (Boston. USA. - 23 December, 2020) p 38-46
- Natsvaladze 2020b - Natsvaladze M. Greek Project – Clue to the History of Georgia 50-90-ies of XVIII Century. XXIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Vol.1, November 25, 2020, Warsaw, Poland. pp 38-43

Natsvaladze 2020c - Natsvaladze M. Sensational Unknown Facts from Georgian Diplomacy of 90-ies of XVIII Century, International Journal of Innovative Technologies in Social Science. No 7(28) (2020) p.77-85

Natsvaladze 2020d - Natsvaladze M. Explanation of one conceptual subtext of a “Greek Project”, XI International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world, Scope Academic House, September, 10 - November, 30, 2020, Sheffield, UK pp 164-168

Natsvaladze 2020e - Natsvaladze M. Capuchin Monks and the Russian Agents in Georgia in the 80s of the 18th Century, Bridge to science: research works. San Francisco, California, USA September 10-december 15 2020 http://www.bmpubgroup.com/assets/research-article_12_7_61.pdf

Natsvaladze 2021a - Natsvaladze M. Unknown backstages of Georgian Diplomacy in the 80-ies of the XVIII Century, European Journal of Humanities and Educational Advancements (EJHEA) Vol. 2 No. 1 (2021), pp 84-91

Natsvaladze 2021b - Natsvaladze M. Russian Empire and Georgian-Austrian Diplomatic Relations in the 80s of the XVIII century. «Humanities and Social Sciences in Europe: Achievements and Perspectives». Proceedings of the 7th International symposium (January 25, 2020). Premier Publishing s.r.o. Vienna. 2021. pp 12-26

Ragsdale 1988 - Ragsdale H. Evaluating the traditions of Russian aggression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East European Review. L., 1988. Vol. 66. N 1; pp. 91-117

Грамоты 1898 - Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под ред. А. А. Цагарели. Т. II. Вып. 1: Грузинские тексты с 1768 по 1801 год. Санкт-Петербург 1898 209 с

Гриффитс 2013 - Гриффитс Дэвид М. Был ли у Екатерины II «греческий проект»? Екатерина II и ее мир: статьи разных лет. пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. М.: Новое литературное обозрение, 2013. С. 349—368.

Зорин 2001 - Зорин А. Кормя двуглавого орла. Русская литература и государ-ственная идеология в последней трети XVIII первой трети XIX века. М.: Новое литературное обозрение, 2001. 416 с

Ивонин 2007 - Ивонин Ю.Е. Венцель Антон Кауниц. Вопросы истории. 2007. № 4. С. 27-50.

Маркова 1986 - Маркова О. П. О происхождении так называемого греческого проекта (80-е годы XVIII в.)ю Проблемы методологии и источниковедения внешней политики России.. М., 1986. С. 5-46.

РИО 1872 - Письма императрицы Екатерины II великому князю Павлу Петровичу и великой княгине Марии Федоровне во время путешествия их императорских высочеств в 1781 и 1782 гг. Сб. РИО. СПб., 1872. Т. 9. С. 64—117.

Русский архив 1880 - Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790 Русский архив. Кн. 1. М., 1880. 210-335 с

Русская старина 1892- Собственнооручная записка императрицы Екатерины о греческом проекте, Русская старина. 1892. Т. 76. № 10. С. 1—4.

Хаванова 2016 - Хаванова О. В. Пребывание Павла Петровича в Вене в 1781—1782 гг.: «умное» путешествие просвещенного цесаревича, in: Романовы в дороге: путешествия и поездки царской семьи по России и за границу. М.; СПб., 2016. С. 94-109 97

Юзефович 1869 - Юзефович Т. Договоры России с Востоком. СПб., 1869 326 с

Georgian-Austrian Unknown Preludes of the Treaty of Georgievsk

Natsvaladze Mamuka
Sokhumi State University

Abstract

Studying the external policy of the king Erekle II is a topical issue for the modern historiography. The information maintained in the archives of various European cities, namely of Vienna, Vatican and Venice, convey to us the fact that while exercising pragmatic attitude toward relations with the European countries the King of Kartli and Kakheti considered the interests of both his own country and of those European countries as well.

Over the years 1781-82 Erekle II sends his ambassadors to Europe twice: first he sends a Capuchin monk Domenique who dies in Constantinople in uncertain circumstances not having reached the destination; after him Erekle II sends another Capuchin Mauro the Veronese who also dies for unknown reasons while still on his way. It is a very important fact that the letters sent by the King Erekle, unlike the ambassadors, reach their destination which is the Emperor's Court in Austria.

The present article shows the international political background that the king Erekle II had at that time and that he attempted to use for the interests of his country.

The plan of dividing Europe anew, officially developed by the relevant imperial authorities of Saint Petersburg and Vienna, aimed at neutralizing the Ottoman Empire and dividing its territories. According to the Greek Project, it was supposed to resurrect the Byzantine Empire that would be formally independent from Russia but factually acting as a marionette with the Romanov dynasty ruling in it and build Dacia Kingdom as a buffer between the Ottoman and the Austrian Empires.

This project was topical for Erekle II who was trying to get involved in the international political processes to the maximum level as the king of a sovereign and independent country, as in the result of implementation of the Greek Project Georgia would obtain an environment of Christian countries instead of the previous encirclement by Muslim countries. Thus, Georgia would find herself in an absolutely different qualitative dimension that had been a sacred dream of the Georgian Kings at all times.

This was why the Greek Plan held such a great importance for Erekle II. This international project was made secret by the empress Catherine the Great and Joseph II, therefore, the official pragmatic reason that Erekle II referred to when sending ambassadors to Austria which was obtaining financial support for two regiments was merely a mask behind which in reality the ambassadorial mission served the purpose of active involvement and participation in the implementation of the Greek Project.

The Austrian Emperor's Court, on its part, was going to use this intension of the Georgian king for its own pragmatic goals which implied strengthening of the Holy Roman Empire that had been actually made fictitious by that time. The widely acknowledged and reputed international level diplomats of the Austrian Empire Kaunitz and Kobenzl were involved in the process.

Key words: the Greek Project; Erekle the Second; Joseph the Second; the Kingdom of Kartli and Kakheti; the Holy Roman Empire; the Empire of Austria, the Russian Empire; Catherine the Second.